პროკრედიტ ბანკი

# ელექტრონული დიჯიპასის

## გამოყენების ინსტრუქცია

## იურიდიული პირებისთვის

# რეგისტრაციის ეტაპი:

ელექტრონული დიჯიპასის რეგისტრაცია ხდება ინტერნეტ ბანკის ვებ ვერსიიდან: ჩემი პროფილი - › მოწყობილობები - › ელექტრონული დიჯიპასის დამატება (სურათი N 1)




სურათი 1

ელექტრონული დიჯიპასის დამატების შემდეგ მომხმარებელს ეგზავნება აქტივაციის 10 ნიშნა კოდი და 4 ნიშნა პინ კოდი. აქტივაციის 10 ნიშნა კოდი გამოიყენება ელ. დიჯიპასის აქტივაციისთვის ერთჯერადად, ხოლო 4 ნიშნა პინ კოდის გამოყენება საჭიროა ყოველი გადარიცხვისას, ელექტრონული დიჯიპასის მიერ ერთჯერადი TAN კოდის გენერაციისთვის.

კოდების გაგზავნა ხდება ორი სხვადასხვა შეტყობინებით ინტერნეტ ბანკში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ან ტელეფონის ნომერზე.

აღნიშნული 4 ნიშნა პინ კოდის ცვლილება შესაძლებელია მობაილ ბანკის მენიუდან: ჩემი პროფილი - › ელ. დიჯიპასები - › პინ კოდის ცვლილება.

# გააქტიურების ეტაპი:

ელ. დიჯიპასის გააქტიურება შესაძლებელია მობაილ ბანკის აპლიკაციის საწყისი გვერდიდან (Login Page) მენიუში ‘ელ. დიჯიპასები’-ს არჩევით.




აქტივაციის დასასრულებლად ელ. დიჯიპასების მენიუში საჭიროა, რომ დასარეგისტრირებელ დიჯიპასს დაარქვათ სასურველი სახელი და შესაბამის ველში შეიყვანოთ რეგისტრაციისთვის გამოგზავნილი 10 ნიშნა კოდი






# ელ. დიჯიპასის განახლება

მობაილ თოქენის განახლებული ელექტრონული დიჯიპასით ჩანაცვლება შესაძლებელია ინტერნეტ ბანკის მენიუდან, განახლების შესაბამის ღილაკზე დაკლიკებით (სურათი N 4): ჩემი პროფილი - › მოწყობილობები - › ყველა მოწყობილობა




სურათი 4

ელექტრონული დიჯიპასის დამატების შემდეგ მომხმარებელს ეგზავნება აქტივაციის 10 ნიშნა კოდი და 4 ნიშნა პინ კოდი. აქტივაციის 10 ნიშნა კოდი გამოიყენება ელ. დიჯიპასის აქტივაციისთვის ერთჯერადად, ხოლო 4 ნიშნა პინ კოდის გამოყენება საჭიროა ყოველი გადარიცხვისას, ელექტრონული დიჯიპასის მიერ ერთჯერადი TAN კოდის გენერაციისთვის.

კოდების გაგზავნა ხდება ორი სხვადასხვა შეტყობინებით ინტერნეტ ბანკში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ან ტელეფონის ნომერზე.

2024 © ProCredit Bank Georgia

აღნიშნული 4 ნიშნა პინ კოდის ცვლილება შესაძლებელია მობაილ ბანკის მენიუდან:
ჩემი პროფილი - › ელ. დიჯიპასები - › პინ კოდის ცვლილება.



# ელ. დიჯიპასით ტრანზაქციის დადასტურება:

ინტერნეტ ბანკით რეგისტრირებული გადარიცხვის ავტორიზაციის მიზნით, სავალდებულოა ელექტრონული დიჯიპასის შესაბამის ველში 4 ნიშნა პინ კოდის შეყვანა. პინ კოდის შეყვანის შემდეგ ხდება ერთჯერადი TAN კოდის ავტომატური გენერირება.




მობაილ ბანკით რეგისტრირებული გადარიცხვის ავტორიზაციის მიზნით, გადარიცხვის დასადასტურებლად საჭიროა მხოლოდ 4 ნიშნა PIN კოდის შეყვანა.